

# კეტრინ ემტონის "წყნარი დიპლომატია"

დინა ჩაჩუა

საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებში კიდევ ერთი საკვანძო ფიგურა გაჩნდა. ბარონესა კეტრინ ემტონი ევროკავშირის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე გასული წლის დეკემბერში დანიშნეს. თუმცა სანამ ოფიციალურად შეუდგებოდეს საქმიანობას, მას გარკვეული პროცედურების გავლა მოუწევს. გასულ კვირას ბარონესას ევროპარლამენტარების წინაშე სამი საათის განმავლობაში უწყევდა კითხვა-პასუხის რეჟიმში სიტყვით გამოსვლა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობებზეც ისაუბრა. სხვათაშორის, ევროპარლამენტის წინაშე მომავალი ევროკომისრების მოსმენები, აშშ-ს სენატის მოდელის მსგავსად, ლისაბონის ხელშეკრულების კიდევ ერთი ინიციატივაა, რამაც კიდევ უფრო უნდა გაზარდოს ევროპარლამენტის როლი.



კეტრინ ემტონი ევროპარლამენტარების წინაშე წარსდგა.

ნი", "მრავლისმეტყველი" იყო. ასე აფასებდა მოვლენებს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებში დაწყებული ახლო აღმოსავლეთიდან თეთრ სახლამდე, ირანიდან რუსეთამდე, ჩინეთიდან ავღანეთამდე, თუმცა როგორც უცხოელი ანალიტიკოსები აფასებენ, მის გამოსვლაში ნაკლებად იყო გამახვილებული

ყურადღება პრიორიტეტებზე და "თურა სურს მას სინამდვილეში." მიუხედავად იმისა, რომ ევროპარლამენტარების ნაწილმა კეტრინ ემტონი კვლავაც მისი გამოუცდელი სახე და ხედვის სისუსტის გამო გააკრიტიკა, დამსწრეთა უმრავლესობამ მაინც აღნიშნა, რომ ემტონი "ადეკვატურად" წარსდგა საზოგადოების წინაშე. "როგორც ყოფილი უნივერსი-

ტეტის ლექტორი ვიტყვოდი, რომ მან მიიღო ჩათვლა, თუმცა მას კიდევ დიდი შრომა აქვს გასანევი რათა უკეთესი გახდეს," - აღნიშნა ევროპის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელმა იასეკ სარიუზ-ვოლსკიმ. როგორც ცენტრისტულმა-მემარჯვენე იდეოლოგიის გერმანელმა ევროპარლამენტარმა ელმარ ბროკმა განაცხადა, ე-

ტონის გამოსვლაში სამომავლო თანამშრომლობისთვის შექმნა საფუძველი, თუმცა არანაირი მიზეზი ენთუზიაზმისთვის.

საინტერესო იყო ევროსაბჭოს საგარეო ურთიერთობებში მთავარი ანალიტიკოსის ტომას კლაუს კომენტარი, რომელმაც კანდიდატის გამოსვლას "სრულყოფილი, თუმცა ფრთხილი უწოდა". "ეს, შესაძლოა, ბრძნული პოლიტიკა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ მომავალში ევროპული დიპლომატიური სამსახურის შექმნისათვის მას ხელისუფლების მხარდაჭერა დასჭირდება," - აღნიშნა ექსპერტმა.

ყოფილი ევროკომისარი ვაჭრობის საკითხებში და ამჟამად ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებში, ასევე ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი კეტრინ ემტონი 26 ევროკომისიიდან ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ევროპარლამენტის წევრების წინაშე სამსახურის მოსმენა გაიარა. ხოცე მანუელ ბაროზუ ევროკომისიის პრეზიდენტის პოსტზე უკვე დამტკიცებულია. მთელი ეს პროცესი ერთ კვირას გასტანს. 26 იანვარს კი უკვე ცნობილი გახდება დამტკიცებს თუ არა საკანონმდებლო ორგანო (ევროპის პარლამენტი) ევროკომისიის გუნდს. სხვათაშორის, ევროპარლამენტს, რომელიც პირდაპირი წესით არჩეული ევროკავშირის ერთადერთი უწყებაა, მთელს კომისიაზე ვეტოს დადების უფლება აქვს. კანდიდატზე ვეტოს დადების ბოლო მაგალითი 2004 წელს დაფიქსირდა, როცა იტალიელი როკო ბუტილიონე

ბაზრძილაბა 80-2 გვირდვა

## ევროკავშირმა 20 ახალი პროექტი დააფინანსა

გიორგი თაბაბარი

საშობაო არდადეგების დასრულებასთან ერთად ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში საქმიანობა განაახლა. პრიორიტეტები და საქმიანობის არეალი 2010 წელსაც საკმაოდ მრავლისმომცველი იქნება და ევროკავშირის აქტივობებიც საქართველოში ლოგიკურად დაეფუძნება ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებას და ასევე იმ მიმართულებებს, რომელზეც ევროკავშირი სამეზობლო პოლიტიკის ფორმატში გაამახვილებს ყურადღებას. თუმცა, ახალი 2010 წელი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, გასული წლის პროექტის პრეზენტაციით დაიწყო. ლონისძიებაზე, რომელიც გასულ კვირას სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გაიმართა, EuropeAid-ის ფარგლებში 2009 წლის აპრილში გამართული კონკურსის გამარჯვებული პროექტები იქნა წარმოდგენილი.



ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ელჩი პერ ეკლუნდა.

12 იანვარს გამართულ სპეციალურ ცერემონიაზე, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ელჩმა პერ ეკლუნდმა

ქართულ მედიას 2009 წლის აპრილში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის გამოცხადებული ორი საგრანტო კონკურსის გამარჯვებული 20 არასამთავრობო ორგანიზაცია წარუდგინა. აქედან 2 უცხოური და 18 ქართული ორგანიზაციაა, თუმცა რასაკვირველია თითოეული პროექტი საქართველოში არსებული პრობლემების აღმოფხვრისკენ არის მიმართული. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულმა ორგანიზაციებმა, სხვა კონკურსანტებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამების - მარასახელმწიფო აქტივობებისა და ადგილობრივი ხელისუფლების განვითარების პროგრამის და ევროპული ინსტრუმენტი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის ფარგლებში. გამარჯვებულების შერჩევა მკაცრი კრიტერიუმების საფუძველზე მოხდა.

რაც შეეხება უშუალოდ გრანტს, მისი საერთო ოდენობა 2,1 მილიონ ევროს აჭარბებს და იგი დამტკიცებული პროექტების ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობას მოხმარდება. საქმიანობათა არეალი კი საკმაოდ მრავალფეროვანია და მიზნად ისახავს საგამოძიებო ყურნალისტიკის მხარდაჭერას, უმცირესობათა ჯგუფებისა და დევნილთათვის საგანმანათლებლო ღონისძიებების გაუმჯობესებას, არასრულწლოვან დანაშაულის სისტემის

რეფორმირების მხარდაჭერას, დღის ცენტრების ჩამოყალიბების ხელშეწყობას და უცვლელი ბავშვებისთვის, სოციალური დალოგის მექანიზმის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო მართვაში ადგილობრივი თემების მონაწილეობის ხელშეწყობას და სხვა. აღნიშნული ჩამონათვალითაც ნათელი ხდება, რომ საკმაოდ მრავალფეროვანია ის მიმართულებები, რომელზეც ზემოაღნიშნული თანხა გადანაწილდება და რაც ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია თანხის ალოკაცია არ ხდება მხოლოდ დედაქალაქში. გამარჯვებული პროექტების დიდი ნაწილი რეგიონში არსებულ პრობლემებს პასუხობს.

საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში, ელჩმა პერ ეკლუნდმა, რომელმაც აქცენტი პროექტების ეფექტურობაზე გააკეთა. "ევროკავშირი გააგრძელებს ამ ტიპის პროექტების დაფინანსებას, რადგან როგორც გამოცდილებამ გვაჩვენა, მცირე და ადგილზე განხორციელებული საქმიანობის შედეგები ბევრად უფრო იოლი დასანახია, ვიდრე მილიონობით ევროს ღირებულების ცენტრალიზებული პროექტები," - განაცხადა პერ ეკლუნდმა.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული,

ბაზრძილაბა 80-2 გვირდვა

# ევროკავშირმა 20 ახალი პროექტი დააფინანსა

პირველი გვერდიდან

საგრანტო კონკურსი ორ ნაწილად განხორციელდა და 2,1 მილიონი ევროც ამ შემთხვევაში ორ მეტ-ნაკლებად თანაბარ ნაწილად იქნა გაყოფილი. მარასახელმწიფო აქტორებისა და ადგილობრივი ხელისუფლების განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი გრანტების საერთო მოცულობა 1,12 მილიონ ევროს აღემატება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ევროკავშირმა არჩევანი 9 აპლიკანტ ორგანიზაციაზე შეაჩერა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ წარდგენილი პროექტი, რომელიც სოციალური პარტნიორების დიალოგში ჩართვის უნარის გაუმჯობესებასა და სოციალური დიალოგის, როგორც კონცეფციის შესახებ გათვითცნობიერებულობის ზრდას ისახავს მიზნად. აღნიშნულმა პროექტმა საერთო გრანტიდან ყველაზე დიდი თანხა - 150 ათასი ევრო მიიღო. მნიშვნელოვანია ასევე აჭარაში მოქმედი ორგანიზაცია მახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი - ინტელექტი პროექტი, რომელიც აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებში თვითმმართველობის ორგანოების გაძლიერებას ითვალისწინებს და საბოლოოდ მათ დაქვემდებარებაში არსებული ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებითა და ამ გზით სამუშაო ადგილების შექმნით უნდა დასრულდეს. მახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი - ინტელექტი -ს წარმომადგენელთა აზრით აღნიშნული პროექტის მეშვეობით, რეგიონში არსებული სიღარიბის დონის საგრძნობი შემცირება უნდა მოხდეს. ამ პროექტის განსახორციელებლად ევროკავშირმა თითქმის 150 ათასი ევრო გამოყო.



შუალედს მისცემს გააუმჯობესონ პროდუქტიულობა და გაზარდონ შემოსავალი სოფლის მეურნეობის სექტორში. Mercy Corps Scotland -მა აღნიშნული ინიციატივის განსახორციელებლად 149 ათასი ევრო გამოყო.

რაც შეეხება საგრანტო კონკურსის მეორე ნაწილს, მეგობრული ინსტრუმენტი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის ფარგლებში ევროკავშირმა 11 გამარჯვებულ პროექტზე 975 ათასი ევრო გამოყო. აღნიშნული პანელის მიზანს წარმოადგენდა: სამოქალაქო საზოგადოების როლის გაძლიერება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვაზე, დემოკრატიული რეფორმების ხელშეწყობა, კანონის უზენაესობა და ეფექტური მმართველობის მხარდაჭერა და ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ეკონომიკურ სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. შესაბამისად დაფინანსებული პროექტები ლოკალურ შესაბამისობაში მოდიან საგრანტო პრიორიტეტებთან. დამტკიცებული პროექტებიდან აღნიშნავს იმსახურებს მრავლის მხარდაჭერა კავშირის მიერ წარდგენილი პროექტი, რომელიც ეთნიკურ უმცირესობათა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების მხარდაჭერასა და მათ საზოგადოებაში ინტეგრირებას ისახავს მიზნად. ევროკავშირმა პროექტის განსახორციელებლად რაგბის მხარდაჭერა ლიგას თითქმის 100 ათასი ევრო გამოყო.

ეთნიკური უმცირესობის თემს ეხება ასევე ასოციაცია მმრავალეროვანი საქართველოს ქალების მიერ წარდგენილი პროექტი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების როლის გაძლიერებას, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული რეფორმების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ნიშნდობლივია, რომ ასოციაცია, რასიზმისა და ნებისმიერ ნიადაგზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის გზით, ქვემო ქართლში მცხოვრები რელიგიური და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვაზე მოახდენს ფოკუსირებას. მრავალეროვანი საქართველოს ქალების პროექტი, ევროკავშირმა 96 ათასი ევროთი დააფინანსა.

დაფინანსებულ პროექტებში მოხვდა ასევე სტუდია მონიტორის მიერ წარდგენილი პროექტი, რომელიც მედია უფლებების დაცვასა და საგამომძიებლო ჟურნალისტიკის განვითარებას ითვალისწინებს. პროექტის ინიციატორები ჟურნალისტიკური გამოძიებების ჩატარებით, საქართველოში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობასა და საზოგადოებაში მიუყვარებელი ინფორმაციის გავრცელებას შეუწყობენ ხელს. მეგობრული ინსტრუმენტი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის ფარგლებში, ევროკავშირმა სტუდია მონიტორის პროექტი 95 ათასი ევროთი დააფინანსა.

ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ პროექტებისა, რომლებიც ევროკავშირმა მარასახელმწიფო აქტორებისა და ადგილობრივი ხელისუფლების განვითარების პროგრამის ფარგლებში დააფინანსა. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული მეგობრული ინსტრუმენტი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის ძირითადად მხარს უჭერს ისეთ პროექტებს, რომელიც ევროკავშირის საზღვრებს გარეთ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვას ემსახურება. ყოველწლიურად ბრიუსელი აღნიშნული პროგრამისთვის 100 მილიონ ევროს გამოყოფს.

როგორც უნდა იქნებოდა, ადგილობრივი ხელისუფლების განვითარების პროგრამის ფარგლებში იგი ხელს უწყობს დემოკრატიულ განვითარების პროცესს საზოგადოების მონაწილეობის სტიმულირების გზით. პროგრამა ხელს უწყობს ასევე არასამთავრობო აქტორებს და ადგილობრივ ხელისუფლებას, მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც ხანგრძლივად ვადებზე იქნება გათვლილი და ადგილობრივი მოსახლეობისთვის აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებს შეეხება. აღსანიშნავია, რომ პროგრამა აქტორებზეა გათვლილი და მონაწილე ორგანიზაციებს არ უყენებს კონკრეტულ სამოქმედო პრიორიტეტებს, რაც აპლიკანტ ორგანიზაციებს სამოქმედო არეალის თავისი სურვილისამებრ არჩევის საშუალებას აძლევს. ამის ნათელი დადასტურება იყო, ზემოაღნიშნული პროექტებიც, რომლებიც კარდინალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან თემებისა და სამიზნე ჯგუფების თვალსაზრისით. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად პროგრამის ზოგადი მიზანი საზოგადოებრივ სარგებელზეა დაფუძნებული და ნებისმიერი მცირე თუ საშუალო სიდიდის პროექტი მხოლოდ არსებული ვითარების გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი საკითხია ასევე პროექტების მონიტორინგის საკითხი, რომელმაც უნდა განსაზღვროს სად და რამდენად ეფექტურად იხარჯება ევროკავშირის მიერ გამოყოფილი თანხები. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის განცხადებით, ისინი ფლობენ ყველა იმ აუცილებელ მექანიზმებს, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს მანქანაციებს პროექტების განხორციელების დროს. მათ ასევე მოუწოდებს მედიას, რომ აქტიურად მიაღწევს თვალისაშინი სამოქალაქო სექტორის საქმიანობას და კონკრეტულად პროექტების იმპლემენტაციის პროცესს.

## კეტრინ ებტონის "წყნარი დიპლომატია"

პირველი გვერდიდან

მართლმსაჯულების ევროკომისიის პოსტზე დაბლოკეს. ევროპარლამენტარებმა ბუტილიონის სექსუალური უმცირესობის უფლებების დისკრიმინაცია გააპროტესტეს.

კეტრინ ებტონის ევროპარლამენტარების წინაშე გამოსვლა ძალზე ცდაბალანსებული იყო და აშკარაა, რომ ევროპის ყველა დედაქალაქის კეთილგანწყობის მოპოვებას ისახავდა მიზნად. ის ძირითადად ფართოდ გაზიარებულ საკითხებზე აკეთებდა აქცენტებს. მაგალითად, მან ირანი ატომურ პოლიტიკაში საერთაშორისო პასუხისმგებლობის შეუსრულებლობის გამო გააკრიტიკა. "როდესაც წესები არ სრულდება, შემდეგ მოქმედების დრო დგება," - დასძინა ებტონმა და იქვე დაამატა, რომ ევროკავშირს სანქციებზე საუბარი შეეკრებოდა განხილვებზე გავრძელებად. ასევე, ებტონი ვაშინგტონთან და რუსეთთან უფრო მჭიდრო და მყარი ურთიერთობების დამყარების ინიციატივით გამოვიდა. მას განზრახული აქვს უფრო აქტიურად ჩართოს ევროკავშირი ავღანეთში. ამ საკითხებში უკეთ გასარკვევად კი ბარონესას ვიზიტები აქვს დაგე-

მლი ვაშინგტონში, პეკინში, მოსკოვსა და ახლო აღმოსავლეთში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კავშირის წევრ ქვეყნებს კვლავაც სრული დამოუკიდებლობა აქვთ საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში. კეტრინ ებტონს არ შეუძლია მათ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედება. შესაბამისად, მისი თანამდებობაზე ყოფნა არსებით, გავლენას ვერ მოახდენს რუსეთის, ბალკანეთისა თუ ახლო აღმოსავლეთის მიმართ ბრიუსელის პოზიციაზე. მისი მოვალეობა უფრო სტრატეგიის დამუშავება და მისი გაუფრება იქნება.

კრიტიკის მიუხედავად, რომელიც ებტონის დანიშვნას თავიდანვე თანსდევდა, ბარონესამ მოახერხა სიმშვიდის შენარჩუნება და ბრიტანელი კონსერვატორებისა და ევროსკეპტიკოსების თავდასხმებს ოსტატურად იგერიებდა. ისევე როგორც დეკემბერში, მან ამჯერადაც არ ისურვა პატიება ეთხოვა ბირთვული განიარაღების კამპანიაში აქტიურობის გამო. ვარაუდობენ, რომ ამ კამპანიებს 1970-იან და 1980-იან წლებში საბჭოთა კავშირი აფინანსებდა. ებტონმა განაცხადა, რომ ის უკვე 29 წელია აღარ არის ბირთვული განიარაღების კამპანიის წევ-

რი და იქვე დასძინა, რომ ის რაც 1970 წელს რელიგიური იყო, აღარ არის რელიგიური 2010 წელს. "მე არასოდეს მრცხვენოდა იმის თუ ვინ ვარ და რას ვაკეთებდი," - მიმართავდა ბარონესა ევროპარლამენტარებს.

სხვათაშორის, კეტრინ ებტონმა ერაყში შეჭრის ფაქტს კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი, აღნიშნა რა, რომ "იმ დროისთვის შექმნილი სიტუაციისთვის, სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული."

ევროპარლამენტში გამოსვლისას კეტრინ ებტონმა კიდევ ერთხელ დააპირობა, რომ თავისი მუშაობის პერიოდში შეეცდება ევროკავშირს უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი მოთამაშის როლი მიანიჭოს. ამაში კი ებტონს "წყნარი დიპლომატია" დაეხმარება. მისი განმარტებით "ზმაურიანი, ან მძაფრი საჯარო დიპლომატია ნაკლებად ქმდითია".

საუბარი შეეხო ევროკავშირის აღმოსავლელ მეზობლებსაც, თუმცა კონკრეტულ სტრატეგიაზე კეტრინ ებტონს არაფერი უთქვამს. მისი თქმით, უაღრესად მნიშვნელოვანია უკრაინის, ბელარუსის და საქართველოს - რუსეთთან ურთიერთობა რაც დიდწილად განსაზღვრავს სამომავ-

ლოდ სურათს და სტრატეგიას რეგიონში. როგორც მან დასძინა, ევროკავშირის მეზობლებისადმი მიდგომა, ამ კონკრეტულ ქვეყნების განვითარებაზეა დამოკიდებული.

შეგახსენებთ, რომ კეტრინ ებტონი ევროკავშირის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტისთვის ბრძოლაში საკმაოდ გვიან ჩაერთო. მისი გვარი პრეტენდენტთა სიაში მას შემდეგ გაჩნდა, რაც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დევიდ მილიბენდმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.

საინტერესოა, რომ თუ ევროკავშირის წარმომადგენელი პატარა ქვეყნის წარმომადგენელი და შემარჯვენეცენტრისტული იდეოლოგიის მიმდევარია, ბარონესა ებტონი სიტუაციას იმით აბალანსებს, რომ ის ქალბატონია და შემარჯვენე პოლიტიკურ ძალეებსა და დიდ სახელმწიფოს წარმომადგენს. ეს გარკვეულ კანონზომიერებაში მოდის ევროკავშირის ზოგად პოლიტიკასთან, სადაც კრიტიკიუმების წონასწორობა ნებისმიერი გადაწყვეტილების საფუძველია. ევროკავშირის პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზიები კონსერვატორებმა დასაწყისშივე გამოთქვეს, მოგვიანებით უკვე მემარცხენეებმა წამოაყენეს მოთხოვნა

მთავარი დიპლომატის თანამდებობაზე მათი წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე.

ბარონესა ებტონს, რომელსაც ვაჭრობის სფეროში ევროკომისიის პოსტი ეჭირა, საგარეო პოლიტიკაში მუშაობის გამოცდილება არ აქვს და არც მინისტრის დონის პოსტი ეკავა ოდესმე. ამან თავიდანვე დიდი რიტორიკა გამოიწვია. თავის მხრივ, ებტონმა ხაზი გაუსვა მოლაპარაკებების პროცესში მის ცოდნასა და უნარებს, გაიხსენა რა საკუთარი წარმატება სახმრეთ კორეასთან თავისუფალი ვაჭრობის მოლაპარაკებებზე შეთანხმებაში. სხვათაშორის, ეს ევროკავშირის ისტორიაში ყველაზე წარმატებული საგარეო ხელშეკრულებაა. "განმსაჯეთ ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე და ვფიქრობ კმაყოფილი დარჩებით და ჩემით იამაყებთ კიდევ," - ასე მიმართა კეტრინ ებტონმა მედიის წარმომადგენლებს პოსტზე დანიშვნის დღეს. მისი თქმით, ეს გამარჯვება ერთგვარ სიურპრიზს წარმოადგენდა. ემტონმა მაშინ პირობა დადო, რომ ევროპულ ღირებულებებს მთელს მსოფლიოს ღირსეულად წარუდგენდა.

# „აღმოსავლეთი პარტნიორობის“ გზამკვლევი



ევროკავშირი „აღმოსავლეთის პარტნიორობაში“ ჩართულობის გზამკვლევი.  
თანამშრომლობის ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით კი ევროკომისია 2010-2013 წლებისთვის 600 მილიონ ევროს გამოჰყოფს. ასე იწყება ევროკომისიის მიერ გამოცემული გზამკვლევი, რომელიც აღმოსავლეთის პარტნიორობის ფინანსურ მხარეებს ეხება. როგორც გამოცემის ავტორები აღნიშნავენ, აქამდე პარტნიორი ქვეყნებისა თუ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ადმინისტრაციებიდან არაერთი კითხვა არსებობდა ამ ფინანსურის სახსრების გამოყენებასთან დაკავშირებით, რამაც განაპირობა სწორედ ამ სახელმძღვანელოს გამოცემა. შეგახსენებთ, რომ აღმოსავლეთი პარტნიორობა (Eastern Partnership, EaP), როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და ბელარუსი) თანამშრომლობის ახალი ფორმა, შევადგენთ და პოლონეთის ინიციატივას წარმოადგენს. ამასთან ეს არ არის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივა, არამედ ის ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში უფრო ღრმა ინტეგრაციას, საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებას და ეკონომიკურ განვითარებას რეგიონული და ორმხრივი თანამშრომლობის გზით.

გზამკვლევის გამოცემის მიზანი ფინანსურ ასპექტებთან დაკავშირებით არსებულ ყველაზე კითხვებზე პასუხების გაცემა წარმოადგენდა და მის მიზნობრივ აუდიტორიას ინვესტორების გარდა პარტნიორი ქვეყნებისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ადმინისტრაციები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები წარმოადგენს.

რა ტიპის საქმიანობები ექვემდებარება დაფინანსებას? როგორ უნდა იმოქმედო, თუ პროექტის დაფინანსება გსურს? რა მოთხოვნები არსებობს ამისთვის? რა პროცედურები უნდა გაიარო დაფინანსების მისაღებად? ეს იმ კითხვებზე მოკლე ჩამონათვალია, რომელსაც აღნიშნული გზამკვლევი შემოგთავაზებთ. სახელმძღვანელო ორ ნაწილად არის გაყოფილი. პირველი ნაწილი აღმოსავლეთის პარტნიორობის მიმოხილვას და შემდეგ კითხვებს ეთმობა: რა დაფინანსდება? ვინ მიიღებს სარგებელს? ვინ განახორციელებს ამ პროექტს? რა დროში უნდა განხორციელდეს? გამოცემის მეორე ნაწილი სახელმძღვანელო გულახდილად დასმული კითხვები, 23 ძირითად კითხვას ეხმაურება.

**რა დაფინანსდება?**  
აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში გამოყოფილი 600 მილიონი ევრო ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტიტუტის (ENPI) ნაწილია და ENPI-ს წესებითვე რეგულირდება. ეს სახსრები შემდეგი სამი ძირითადი მიმართულებით იქნება გამოყენებული: 1. პარტნიორ ქვეყნებში რეფორმების მხარდაჭერა ინსტიტუციონალური მშენებლობის პროგრამის (CIB) განხორციელების გზით (175 მილიონი ევრო), 2. რეგიონალური განვითარების პროგრამის განხორციელება, რომელიც პარტნიორ ქვეყნებში რეგიონების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას

ითვალისწინებს (75 მილიონი ევრო), 3. აღმოსავლეთის პარტნიორობის მრავალმხრივი განხორციელების იმპლემენტაცია (350 მილიონი ევრო).

CIB მიზანს პარტნიორ ქვეყნებთან ასოცირებული ხელშეკრულების გაფორმება და გრძელვადიან პერსპექტივაში სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია წარმოადგენს. ამ პროგრამის ფარგლებში პირველი სამუშაოები 2010 წელს დაიწება, პროგრამის სრულფასოვანი იმპლემენტაცია კი მომავალი წლის პირველ ნახევარში იგეგმება. ამ პროცესში Twinning და თანამშრომლობის სხვა გზები იქნება გამოყენებული, მათ შორის: ტრენინგები, გაცვლითი პროგრამები, სტაჟირებები, სტიპენდიები და ა.შ. დაფინანსება ასევე ხელმისაწვდომი იქნება ინფრასტრუქტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის.

რეგიონალური განვითარების პროგრამა რეგიონებში არსებული მწვავე ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრას მიეძღვნება. ამ პროგრამაზე შეთანხმების მიღწევას 2012 წელს ელიან.

მესამე სხენეული პროგრამა ევროკავშირისა და ექვსი პარტნიორი სახელმწიფოს ურთიერთობას მულტილატერულ განხორციელებას ანიჭებს შემდეგი მიმართულებებით: დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა; ეკონომიკური ინტეგრაცია; ენერჯეტიკული უსაფრთხოება და თემბატურ პლატფორმებს შორის თანამშრომლობა პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირთან დაახლოების მიზნით. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფუძნდა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი.

**ვინ ისარგებლებს ამ ფინანსებით?**

მთავარი ბენეფიციარები პარტნიორი ქვეყნების სახელმწიფო საჯარო ადმინისტრაციები იქნებიან. თუმცა დაფინანსების მიღება ასევე შეეძლება: ადგილობრივ საჯარო ადმინისტრაციებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს.

**ვინ განახორციელებს იმპლემენტაციას?**

ამ ფინანსური სახსრების მიზ-

ნობრივად ხარჯვის გაკონტროლების პასუხისმგებლობა ევროკომისიას და პარტნიორ ქვეყნებში ევროკავშირის წარმომადგენლობებს დაეკისრება. თუმცა კონტრაქტები, რომლებიც საჯარო ტენდერების გზით გამოცხადდება კომერციული ოპერატორების (საკონსულტაციო ფირმები, მომხარაგებლები, საკონსტრუქციო ფირმები...) მიერ განხორციელდება. გრანტების იმპლემენტაცია თავად ბენეფიციარების მიერ მოხდება, Twinning პროექტებს კი წევრი სახელმწიფოები გაუძღვებიან.

**რა დროში?**

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში გამოყოფილი 600 მილიონი ევრო ოთხნობიანი პერიოდში (მზარდი პროფილით) დაიხარჯება. აღმოსავლეთის პარტნიორობის მულტილატერული განხორციელების იმპლემენტაცია 2010 წელს დაიწება. CIB სტარტს 2011 წელს, პილოტური რეგიონალური განვითარების პროგრამა კი 2012 წელს აიღებს. წესის თანახმად, დაფინანსება ხელმისაწვდომი ყოველი წლის მეორე ნახევარში იქნება, კონტრაქტები კი მომდევნო წელს გაფორმდება. პროექტის იმპლემენტაცია მხოლოდ ამ ყველაფრის განხორციელების შემდეგ იწყება.

**რა კრიტერიუმები არსებობს?**

ENPI-ის რეგულაციების თანახმად, დაფინანსების გამოყოფა ხდება პარტნიორი ქვეყნების მსაჭიროებებისა და მრეფორმებში მიღწევების გათვალისწინებით.

**როგორ ხდება დაფინანსებაზე განაცხადის შეტანა?**

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური საკითხები იმავე წესებით რეგულირდება როგორც ENPI-ის სხვა პროგრამები. დაინტერესებულმა მხარეებმა ბრიუსელის შტაბ-ბინასა და საკუთარ ქვეყნებში ევროკავშირის წარმომადგენლობების მიერ EuropeAid-ის ინტერნეტ საიტზე გამოცხადებულ კონკურსებში უნდა მიიღონ მონაწილეობა. ამასთან, ფინანსური სახსრები, რომლებიც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ არის უზრუნველყოფილი, პირდაპირ სამეზობლო საინვესტიციო ინსტიტუტის (NIF) გზით გახდება საჯაროდ ცნობილი. ასეთ შემთხვე-

ვაში NIF-ის დაფინანსების სპეციფიური რეგულაციები ამოქმედდება.

შეგახსენებთ, რომ თავდაპირველად, ევროკავშირი მიესალმა რა პოლიტიკურ-შედეგურ ინიციატივას, ევროკომისიას დაევალა შესაბამისი წინადადების წარმოდგენა 2009 წლის გაზაფხულზე, რაც აისახა 2008 წლის 19-20 ივნისის ევროპული საბჭოს სხდომის დასკვნით დოკუმენტში. თუმცა, საქართველოში აგვისტოში განვითარებული მოვლენების ფონზე, 2008 წლის 1 სექტემბერს ევროპული საბჭოს საგანგებო სხდომაზე მიღებული დასკვნითი დოკუმენტის თანახმად, ევროკომისიას დაევალა ინიციატივასთან დაკავშირებით საკუთარი წინადადება წარმოედგინა 2008 წლის დეკემბერში.

უკვე 2009 წლის 7 მაისს, პრაღაში, როგორც ევროკავშირის იმჟამინდელ თავმჯდომარე ქვეყანაში, გაიმართა „აღმოსავლეთი პარტნიორობის“ სამიერთობლივი დეკლარაცია.

პრაღის სამიტზე მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ აღმოსავლეთის პარტნიორობა უნდა დაეფუძნოს საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ძირითადი ფასეულობების ერთგულებას, დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემას, ასევე, საბაზრო ეკონომიკას, მდგრად განვითარებას და კარგ მმართველობას. ამასთან, აღმოსავლეთის პარტნიორობის მთავარი ამოცანა ისეთი პირობების შექმნაა, რომელიც დააჩქარებს ევროკავშირსა და დაინტერესებულ პარტნიორ ქვეყნებს შორის პოლიტიკური კავშირების დამყარებას და უფრო მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაციას. მევროპის სამეზობლო პოლიტიკაში სპეციალური ე.წ. აღმოსავლეთის განხორციელების შეტანის გზით საგრძნობლად გაძლიერდება ევროკავშირის პოლიტიკა პარტნიორი ქვეყნების მიმართ.

ორმხრივი ურთიერთობები ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის შემდეგ სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებას ისახავს მიზნად: უფრო ფართო საკონტრაქტო ურთიერთობების ჩამოყალიბებას გაღრმავებული შეთანხ-

მებების - ასოცირების შესახებ შეთანხმებების (Association Agreement) გაფორმების გზით, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტნიორი ქვეყნის ევროკავშირთან შემდგომი დაახლოებისკენ სწრაფვას. ეს შეთანხმებები გაფორმდება იმ ქვეყნებთან, რომლებიც მზად იქნებიან შესაბამისი დონის ვალდებულებების ასაღებად; ასევე ევროკავშირსა და აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნას, რომლებიც თითოეულ ქვეყანასთან გაფორმებულ ფართო და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებს (Deep and Comprehensive Free Trade Agreements) დაეფუძნება. თანამშრომლობის კიდევ ერთი სფერო უსაფრთხო გარემოში მოქალაქეთა მობილურობის ხელშეწყობას მოიცავს. ამ მიზნით, ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმების შეძლებისკენ სთავაზობს. თანმიმდევრული ნაბიჯები იქნება გადადგმული უვიზო რეჟიმის დამყარებისაკენ. ენერგოუსაფრთხოების გაძლიერება კვლავაც ევროკავშირის ერთ-ერთ უმთავრეს განხორციელებას წარმოადგენს, რაც ენერგორესურსების მისოდებისა და ტრანზიტის უსაფრთხოების ხელშეწყობას, ენერგო რესურსების ეფექტიანობისა ამაღლებასა და ენერჯის განახლებადი წყაროების უფრო ფართოდ გამოყენებას ითვალისწინებდა.

მრავალმხრივი თანამშრომლობის მიმართულით პროგრამის ფარგლებში ე.წ. „პლატფორმები“ შეიქმნა, რომლებიც ევროკავშირთან თანამშრომლობისა და თავად პარტნიორ სახელმწიფოთა შორის პარტნიორობის სტიმულირებას ისახავს მიზნად. კერძოდ, საუბარია დემოკრატიის, კარგი მმართველობის, სტაბილურობის, ეკონომიკური ინტეგრაციის, ენერგოუსაფრთხოებისა და ადამიანებს შორის კონტაქტების დამყარების საკითხებზე. მომავალი ორი წლის პროგრამა უკვე შეთანხმებულია და როგორც ბენიტა ფერერო-ვალდენერმა გასულ დეკემბერში აღნიშნა, მტკიცედ აქვთ გადამწყვეტილი ეს პლატფორმები ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაცვლის ქეშმარიტ ფორუმად აქციონ.

2009 წლის რვა დეკემბერს ბრიუსელში აღმოსავლეთის პარტნიორობის მონაწილე ქვეყნების პირველი მინისტრიული გამართვა, რომლის მთავარი მიზანსაც მიღწეული შედეგების შეფასება და სამომავლო საქმიანობების განსაზღვრა წარმოადგენდა. ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ექვსი ქვეყნის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს ამ მცირე ხანში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მიღწევები. **ქვემოთ ეს წარმატებული სვლა ევროკავშირში ესპანეთის პრეზიდენტობის პერიოდშიც გაგრძელდება,** - განაცხადა ლონისძიების დასკვნით პრესკონფერენციაზე ევროკავშირის იმჟამინდელი პრეზიდენტი ქვეყნის, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმამ.

საგარეო საქმეთა მინისტრთა შეთანხმების საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ მომდევნო მინისტრიული 2010 წლის მეორე ნახევარში, ბელგიის პრეზიდენტობის პერიოდში ჩატარდება. აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტი კი, სავარაუდოდ, 2011 წლის პირველ ნახევარში, უნგრეთის პრეზიდენტობის დროს გაიმართება.

# სამეზობლო პოლიტიკის პერსპექტივები

## ესპანეთმა ევროკავშირის გარდამავალი საპრეზიდენტო მანდატი გადაიბარა

### გიორგი თაბაბარი

ახალი წლის დადგომასთან ერთად ევროკავშირში ტრადიციული ცვლილება მოხდა. შვედეთის შემდეგ გარდამავალი ექვსთვიანი პრეზიდენტობა ამჯერად ესპანეთმა გადაიბარა. თუმცა, აღნიშნული მოვლენა არ იქნებოდა ჩვენთვის ასეთი მნიშვნელოვანი, რომ არა ის ცვლილებები, რომელიც ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიცირებას მოჰყვა.

მაშასადამე, ესპანეთი იქნება ის სახელმწიფო, რომელიც პირველი შეეცდება ევროკავშირში მომხდარ ინსტიტუციურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან უმტკივნეულო ადაპტაციას. თუმცა, ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ის პრიორიტეტები, რომელიც ესპანეთს, როგორც ევროკავშირის პრეზიდენტ ქვეყანას სამეზობლო პოლიტიკის მიმართულებით აქვს დასახული. ნიშანდობლივია, რომ გარდამავალი პერიოდი არა მხოლოდ ესპანეთისთვის, არამედ მთლიანად ევროკავშირისთვის არის უაღრესად მნიშვნელოვანი, რამეთუ სწორედ ეს ხანა იწყება იმ პრინციპების რეალობაში გადმოტანა, რომელიც გაერთიანების 27-მა წევრმა სახელმწიფომ ლისაბონის ხელშეკრულებაში ჩადო.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება რომელიც შეგვიძლია სამეზობლო პოლიტიკას დაეკავშიროთ, ისევე და ისევე ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიცირების შემდგომ, ევროკავშირში მომხდარი ინსტიტუციური



საპარეტომ ევროკავშირის პრეზიდენტობა გადაიბარა

ცვლილებებით არის გამომწვეული. თუ ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიცირებამდე, ევროკავშირის რეგიონული საგარეო პოლიტიკა დიდწილად პრეზიდენტ ქვეყანაზე და მის კონკრეტულ პრიორიტეტებზე იყო დამოკიდებული, დღეისათვის სურათი რადიკალურად არის შეცვლილი. მაგალითად უნინდელივით, გარდამავალი საპრეზიდენტო მანდატის მქონე ქვეყანას აღარ ექნება იმის საშუალება, რომ თა-

ვისი ინტერესებიდან გამომდინარე პრიორიტეტად სამხრეთი ან აღმოსავლეთი სამეზობლო აქციოს. ევროკავშირი ამას ძველი მექანიზმების და ახალი ინსტიტუციური ელემენტების მეშვეობით თავად განსაზღვრავს. თუმცა რასაკვირველია ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტი ქვეყნის მნიშვნელობის შემცირდება.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყ-

ნები (უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) მოლოდინით შეჰყურებდნენ ესპანეთის გაპრეზიდენტების შემდგომ მომხდარ ცვლილებებს. ამ მხრივ კი ესპანეთის ხელისუფლებამ იმედისმომცემი განცხადებები გააკეთა. „როგორც ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყნის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, მინდა განვაცხადო, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და განსაკუთრებით აღმოსავლეთის პარტნიორობა აუცილებლად იქნება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი არა მხოლოდ ესპანეთისთვის, არამედ მომდევნო პრეზიდენტი სახელმწიფოსთვისაც“ - განაცხადა ესპანეთის სახელმწიფო მდივანმა ევროკავშირის საკითხებში დიეგო ლოპეს გარიდომ.

უნდა აღინიშნოს, რომ ესპანეთი ერთ-ერთი ის სახელმწიფოა, რომელიც იტალიასთან, საფრანგეთთან და სხვა სამხრეთ ევროპულ ქვეყნებთან ერთად, ბარსელონას პროცესის ფარგლებში ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების თანამშრომლობის აქტიური მხარდამჭერია, რაც ბევრის აზრით მეორე პლანზე გადაწვედა აღმოსავლეთ პარტნიორობას. თუმცა, ლოპეს გარიდოს განცხადების შემდეგ მოვლენების განვითარების მსგავსი სურათი აქტუალური აღარ არის.

ბრიუსელში განთავსებული ევროპის პოლიტიკის შემსწავლელი ცენტრის ანალიტიკოსის, პიოტრ კაჩინსკის აზრით მადრიდი ხმელთაშუა ზღვის რეგიონის მიმართ საკუთარ ინტერესს არ დათმობს, მაგრამ ის არც აღმოსავლელ პარტნიორებთან ურთიერთობის

განვითარებას შეუშლის ხელს: „ცხადია, ესპანეთის თავმჯდომარეობის დროს აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა არ იქნება საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტი. თუმცა ესპანელს უკვე ნათქვამი აქვს, რომ აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის განვითარებას ხელს არ შეუშლიან.“ - განაცხადა პიოტრ კაჩინსკიმ. აღსანიშნავია, რომ ევროპული განცხადებების გარდა, საინტერესოა ის პროგრამაც, რომელიც ესპანეთმა როგორც ევროკავშირის პრეზიდენტმა ქვეყანამ შეიმუშავა. დოკუმენტი, რომელიც ოფიციალური მადრიდისთვის მომდევნო 6 თვის სამოქმედო გეგმას წარმოადგენს ცალსახად არის დაფიქსირებული, რომ ესპანეთი შეეცდება ბალანსის დაცვას სამხრეთ და აღმოსავლეთ სამეზობლოსთან მიმართებაში. „განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მაროკოსთვის სპეციალური სტატუსის მინიჭებას და ასევე ურთიერთობის გაღრმავებას ისრაელთან, ტუნისთან, ეგვიპტესა და იორდანიასთან. ამასთანავე მოხდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის კიდევ უფრო გაძლიერება, რომელიც ევროკავშირსა და პროგრამის წევრ 6 სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს კიდევ უფრო გააღრმავებს“ - ნათქვამია დოკუმენტში. ნიშანდობლივია, რომ აღმოსავლეთ სამეზობლოსთან დაკავშირებით ესპანეთისთვის პრიორიტული იქნება ასევე რუსეთის ფედერაციასთან ფექტური და კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება, რომელიც საერთო ღირებულებებზე იქნება დაფუძნებული.

## 7 მილიონი ევრო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს

ევროკომისიამ პროექტ „EAST-INVEST“ - ის ფარგლებში ახალი რეგიონული ინვესტიციებისა და ვაჭრობის გამრტივებისთვის 7 მილიონი ევრო გამოყო. აღნიშნული თანხა 2010-2013 წლებში უნდა დაიხარჯოს და იგი აღმოსავლეთ პარტნიორობაში ჩართულ სახელმწიფოებს - უკრაინას, ბელარუსს, მოლდოვას, საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს მოიცავს.

აღსანიშნავია, რომ პროექტებზე ღია კონკურსი უკვე გამოცხადდა და განაცხადების მიღების ბოლო ვადად 2010 წლის 4 მარტი იქნა დადგენილი. „EAST-INVEST“ - ის მიზანია, რომ წვლილი შეიტანოს აღმოსავლეთ სამეზობლოში ეკონომიკური განვითარების პროცესში. კონკრეტულად საუბარია რეგიონში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებასა და კავშირების გაღრმავებაზე.

ბაზე ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო თუ კერძო ორგანიზაციებს შორის. „EAST-INVEST“ ძირითადად მხარს დაუჭერს ისეთ პროექტებს, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივ ფორმატთან იქნება თანხვედრაში და მიმართული იქნება ზემოდ ჩამოთვლილ 6 სახელმწიფოში მცირე და საშუალო სიდიდის სანარმოების განვითარებისკენ.

რაც შეეხება ვაჭრობის გამარტივების საკითხს, „EAST-INVEST“ მიზნად ისახავს აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ინვესტირების პროცესის პოპულარიზაციას ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის. უფრო კონკრეტულად იგი გააღრმავებს დიალოგს საჯარო და კერძო ორგანი-

ზაციებს შორის მცირე და საშუალო მოცულობის სანარმოების ინტეგრაციის გზით. ასევე ხელს შეუწყობს ევროკავშირსა და აღმოსავლეთ სამეზობლოში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაცვლას, რაც თავის მხრივ კარგ საფუძველს შეუქმნის ახალ ბიზნეს წამოწყებებს, ნაახალისებს ორმხრივ ვაჭრობას, ტექნოლოგიების ტრანსფერსა და ინვესტიციებს.

## გიორგი ბარამიძის მიმართვა ბენიტა ფერარო-ვალდნერს

მოახლოებული თვითმართველობის არჩევნების თემა სულ უფრო აქტუალურ ფაზაში შედის. ქართული მედია აღნიშნულ არჩევნებს გაათმაგებული ინტერესით აშუქებს და თუ გავითვალისწინებთ იმ დატვირთვას, რომელიც ქართულმა პოლიტიკურამ ელიტამ თბილისის მერის არჩევნებს მიანიჭა, საზოგადოების მაღალი ინტერესი აღნიშნულ არჩევნებთან დაკავშირებით საერთო პროცესის ლოგიკურ ნაწილად იქცა. თუმცა, ოპოზიციური პარტიების ერთი ნაწილი ტრადიციულად საკუბიკურად აფასებს არჩევნების გამჭვირვალეობას და მისი ბიოკოტირებთაც იმუქრება.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებასთან ერთად, უშუალოდ არჩევნების მიმდინარეობის სათანადო მონიტორინგი განხორციელდეს. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი ყველაფერს გააკეთებენ არჩევნების მაქსიმალურად გამჭვირვალედ ჩასატარებლად და ამისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებს არჩევნების მონიტორინგში აქტიური მონაწილეობის მიღებისკენ მოუწოდებენ. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სახელმწიფო მინისტრმა, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, ვიცე-პრემიერმა გიორგი ბარამიძემ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესაბამისად ოფიციალური წერილით

მიმართა ევროკომისარს ვაჭრობის, სამეზობლო პოლიტიკისა და ევროპული დახმარების საკითხებში ბენიტა ფერარო-ვალდნერს. წერილის თანახმად საქართველოს მთავრობა ოფიციალური თხოვნით მიმართავს ევროკავშირს, როგორც ყველაზე ავტორიტეტულ საერთაშორისო გაერთიანებას, მისი დამკვირვებლებისა და ექსპერტების მეშვეობით, რაც შეიძლება სწრაფად და აქტიურად ჩაერთოს 2010 წლის გაზაფხულზე ჩასატარებელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაკვირვების პროცესში. მათ შორის, განახორციელოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის, მედიის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის, წინასაარჩევნო სხვა პროცესებისა და თვით არჩევ-

ნების მონიტორინგი, რათა ყველა პოლიტიკური ძალისაგან დამოუკიდებლად გააჩნდეს ობიექტური და სრული ინფორმაცია არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, პრეზიდენტის განაწყვეტილება, ევროპული დამკვირვებლების არჩევნებამდე, ადრეულ ეტაპზე მოწვევასთან დაკავშირებით, ხელს შეუწყობს არჩევნების გამჭვირვალედ და უმაღლესი ევროპული სტანდარტების დონეზე ჩატარებას, რაც ქვეყნის სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და დემოკრატიული განვითარების წინაპირობაა. ისინი ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ იმას, რომ სხვადასხვა გარე და შიდა ძალებს არ მიეცეს საშუალება, არჩევნები გამოიყენონ პოლიტიკური სპეკულაციები-

სათვის და ამით ხელი შეუწყონ დესტაბილიზაციას და საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ შემდგომ პროვოკაციულ ქმედებებს. ევროკავშირის ოფიციალური პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯერ-ჯერობით არ დაუფიქსირებია, თუმცა წინასწარვე შეიძლება იმის თქმა, რომ ევროკავშირი არჩევნების მონიტორინგში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ არჩევნების მონიტორინგის პროცესის ინტერნაციონალიზაცია, ერთნაირად მისაღებია როგორც საპარლამენტო, ასევე არასაპარლამენტო ოპოზიციური ძალებისთვის, რომელთა ერთმა ნაწილმა გაეროსავე კი მიმართა არჩევნების ჩატარების თაობაზე.

დავატება "PARTNER.east" მომზადდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. მასში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას

წომერი მოამზადეს დიანა ჩაჩუამ და გიორგი თაბაბარმა